

საქართველოს წითელი წიგნი

წითელი წიგნი არის იშვიათ და გადაშენების პირას მისულ მცენარეთა და ცხოველთა სახეობების სია, მათი თანამედროვე მდგომარეობის მოკლე დახასიათებით. არსებობს წითელი წიგნის საერთაშორისო, ნაციონალური და ადგილობრივი ვარიანტი.

წიგნის შექმნის იდეა მე-20 საუკუნის I ნახევარში გაჩნდა. მისი ინიციატორი იყო ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი, რომელიც 1949 წელს შეუდგა ინფორმაციის მოპოვებას მცენარეთა და ცხოველთა იშვიათ სახეობათა შესახებ. 1966 წელს უკვე მომზადდა პირველი გამოცემები ძუძუმწოვრებისა და ფრინველების იშვიათი სახეობების შესახებ.

წითელი წიგნი, ისევე როგორც წითელი სიები არ წარმოადგენენ იურიდიულ დოკუმენტებს და ატარებენ მხოლოდ რეკომენდაციულ ხასიათს. ის მოიცავს გლობალურ მასშტაბებს და მიმართულია რეკომენდაცია გაუწიოს იმ ქვეყნებს, რომელთა ტერიტორიაზეც ცხოველთა სცოცოცხლეს საფრთხე ემუქრება. აღნიშნული რეკომენდაციების მნიშვნელობა უზარმაზარია მსოფლიო მასშტაბით.

საქართველოში წითელი წიგნი 1982 წელს გამოიცა. მისი I ნაწილი მოიცავს იშვიათ ცხოველებს, II ნაწილი - მცენარეებს, III ნაწილი - არაორგანული ბუნების ძეგლებს.

1994 წელს „ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის“ (IUCN) საბჭომ მიიღო წითელი ნუსხის ახალი სისტემა და ახალი კრიტერიუმები, რომელთა გამოყენებაც ძალიან ფართოდ დაიწყო სხვადასხვა სამთავრობო თუ არა სამთავრობო ორგანიზაციებმა. IUCN მსოფლიოს პირველი გლობალური გარემოს დაცვითი ორგანიზაციაა. ის 1948 წელს დაარსდა და ამჟამად მასში 1200 ორგანიზაციაა გაერთიანებული, რომლითაც მსოფლიოს უდიდეს კონსერვაციულ ქსელს ქმნის. IUCN-ის მთავარ მიზანს მსოფლიო ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება წარმოადგენს.

ამგვარმა ფართო და მრავალჯერადმა გამოყენებამ ცხადყო ზოგიერთი ცვლილებების შეტანის აუცილებლობაც და მსოფლიო კონსერვაციის კონგრესმა, 1996 წელს, სახეობათა გადარჩენის კომისიას მიანიჭა უფლებამოსილება განეხორციელებინა სისტემის გადასინჯვა. საბოლოოდ შემოღებული იქნა განახლებული სისტემა რომლის მიხედვითაც სახეობებს მიენიჭათ შემდეგი კატეგორიები:

- EX – გადაშენებული
- EW – ბუნებაში გადაშენებული
- CR – კრიტიკულ საფრთხეში მყოფი
- EN – საფრთხეში მყოფი
- VU – მოწყვლადი
- NT – საფრთხესთან ახლოს მყოფი
- LC – საჭიროებს ზრუნვას
- DD – არასრული მონაცემები
- NE – არ არის შეფასებული

წითელი ნუსხის შესახებ

ამჟამად დედამიწაზე გამოყოფენ ბიოლოგიური მრავალფეროვნების 25 "ცხელ წერტილს". მათ შორის ერთ-ერთი კავკასია, კერძოდ, საქართველოა. კავკასია ასევე 200 გლობალურ ეკორეგიონს შორისაა, რომელიც ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერაა გამოყოფილი ისეთ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, როგორცაა: სახეობრივი მრავალფეროვნება, ენდემიზმის დონე, ტაქსონომიური უნიკალურობა, ევოლუციური პროცესები და ფლორისა და ფაუნის ისტორიული განვითარების

თავისებურებები, მცენარეულობის ტიპების მრავალფეროვნება და ბიომების იშვიათობა გლობალურ დონეზე.

საქართველოში გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებს იცავს სახელმწიფო, შესაბამისი კანონმდებლობით. 2003 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი "საქართველოს "წითელი ნუსხა" და "წითელი წიგნის" შესახებ".

კანონის ძირითადი მიზანია, საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შედგენა, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის და გამოყენების სამართლებრივი რეგულირება. დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვა და აღდგენა, სახეობრივი მრავალფეროვნებისა და გენეტიკური რესურსების შენარჩუნება.

საქართველოს, ისევე როგორც მთლიანად კავკასიის, ბიომრავალფეროვნება უკიდურესი საფრთხის წინაშე იმყოფება. ტყეების უმეტესი ნაწილი სახეცვლილია ადამიანის ზემოქმედების შედეგად. მაღალ მთაში გადაჭარბებული ძოვების გამო, თითქმის განადგურებულია ბუნებრივი მცენარეული საფარი და მიმდინარეობს ეროზიის პროცესი. ბუნებრივი მცენარეული საფარი შემორჩენილია თავისი ისტორიული არეალის მხოლოდ მცირეოდენ ნაწილში. საქართველოში ბიომრავალფეროვნებაზე მოქმედი საფრთხეებიდან აღსანიშნავია: ბრაკონიერობა, ტყის მასივების გაჩეხვა, გადაჭარბებული ძოვება, მცენარეთა და ცხოველთა სახეობებით უკანონო ვაჭრობა, თევზის რესურსების გადამეტებული მოპოვება, მდინარეებისა და წყალჭარბი სავარგულების დაბინძურება. შედეგად, ადგილი აქვს ცოცხალი ორგანიზმების საცხოვრებელი გარემოს დეგრადირებას, სახეობათა რიცხოვნობის კლებასა და ეკოლოგიური პროცესების რღვევას - ყველაფერს ერთად კი მივყავართ ბიომრავალფეროვნების განადგურებისკენ. ამ სავალალო მდგომარეობის შედეგია, რომ საქართველოს ფაუნადან 141 სახეობა შეტანილია წითელ ნუსხაში. აქედან:

- 11 სახეობას მინიჭებული აქვს კრიტიკულ საფრთხეში მყოფის სტატუსი (CR)
- 32 სახეობას - საფრთხეში მყოფი სტატუსი (EN)
- 5 სახეობას - ეროვნულ დონეზე გადაშენებულის სტატუსი (RE), ხოლო
- 93 სახეობას მინიჭებული აქვს მოწყვლადის კატეგორია (VU).

საქართველოს ფლორიდან 56 სახეობაა შეტანილი წითელ ნუსხაში, საიდანაც:

- 36 სახეობას მინიჭებული აქვს მოწყვლადის (VU) სტატუსი
- 18 სახეობას საფრთხეში მყოფის (EN) სტატუსი, ხოლო
- 2 სახეობას კი კრიტიკულ საფრთხეში მყოფის სტატუსი (CR)

წითელ ნუსხაზე მუშაობა მუდმივად მიმდინარეობს, ვინაიდან დროთა განმავლობაში სახეობათა მდგომარეობა იცვლება და წითელი ნუსხაც საჭიროებს ცვლილებების შეტანას.

საქართველოს წითელი ნუსხა

(გთხოვთ გაითვალისწინოთ რომ ეს სია შესაძლოა არ შეესაბამებოდეს უახლეს მონაცემებს)

ფაუნა

ძუძუმწოვრები:

სამხრეთული ცხვირნალა/*Rhinolophus euryale* Blasius
მეჭელის ცხვირნალა/*Rhinolophus mehelyi* Matschie
გრძელყურა მლამიობი/*Myotis bechsteinii* Kuhl
ვეროპული მაჩქათელა/*Barbastella barbastellus* Schreber
თახვი/*Castor fiber* Linnaeus
კავკასიური თავგანა/*Sicista caucasica* Vinogradov
ქლუხორის თავგანა/*Sicista kluchorica* Sokolov, Kovalskaya, and Baskevich
ყაზბეგის თავგანა/*Sicista kazbegica* Sokolov, Baskevich, and Kovalskaya
ბრუცა/*Nannospalax nehringi* Satunin
ნაცრისფერი ზაზუნელა/*Cricetulus migratorius* Pallas
ამიერკავკასიური ზაზუნა/*Mesocricetus brandti* Nehring
პრომეთეს მემინდვრია/*Prometheomys schaposchnikovi* Satunin
წითური მემინდვრია/*Clethrionomys glareolus ponticus* Schreber
მცირეზიური მექვიზია/*Meriones tristrami* Thomas
პაწია თავგი/*Micromys minutus* Pallas
ლელიანის კატა/*Felis chaus* Schreber
ფოცხვერი/*Lynx lynx* Linnaeus
ჯიქი/*Panthera pardus* Linnaeus
ვეფხვი/*Panthera tigris* Linnaeus
აფთარი/*Hyaena hyaena* Linnaeus
წავი/*Lutra lutra* Linnaeus
ჭრელტყავა/*Vormela peregusna* Gldenstdt
თეთრმუცელა/*Monachus monachus* Hermann
მურა დათვი/*Ursus arctos* Linnaeus
ზღვის ღორი/*Phocoena phocoena* Linnaeus
აფალინა/*Tursiops truncatus* Montagu
ირემი/*Cervus elaphus* Linnaeus
ქურციკი/*Gazella subgutturosa* Gldenstaedt
დასავლეთკავკასიური ჯიხვი/*Capra caucasica* Gldenstaedt and Pallas
დაღესტნური ჯიხვი/*Capra cylindricornis* Blyth

ნიამორი/*Capra aegagrus* Linnaeus
არჩვი/*Rupicapra rupicapra* Linnaeus.

ფრინველები:

მურტალა/*Podiceps grisegaena* Boddaert
ვარდისფერი ვარხვი/*Pelecanus onocrotalus* Linnaeus
ქოჩორა ვარხვი/*Pelecanus crispus* Bruch
ლაკლაკი/*Ciconia ciconia* Linnaeus
ყარყატი/*Ciconia nigra* Linnaeus
პატარა ღერღეტი/*Anser erythropus* Linnaeus
წითელი იხვი/*Tadorna ferruginea* Pallas
მარმარილოსებრი/*Marmaronetta angustirostris*
გარიელი/*Melanitta fusca* Linnaeus
თეთრთვალა იხვი/*Oxyura leucocephala* Scopoli
თეთრკუდა ფსოვი/*Haliaeetus albicilla* Linnaeus
ქორცვიტა/*Accipiter brevipes* Severtzov
ველის კაკაჩა/*Buteo rufinus rufinus* Cretzschmar
ბექობის არწივი/*Aquila heliaca* Savigny
დიდი მყივანი არწივი/*Aquila clanga* Pallas
მთის არწივი/*Aquila chrysaetus* Linnaeus
ფასკუნჯი/*Neophron percnopterus* Linnaeus
ბატკანძერი/*Gypaetus barbatus* Linnaeus
სვავი/*Aegypius monachus* Linnaeus
გავაზი/*Falco cherrug* Gray
თვალშავი/*Falco vespertinus* Linnaeus
წითელთავა შავარდენი/*Falco biarmicus* Temminck
მცირე კირკიტა/*Falco naumanni* Fleischer
ჭოტი/*Aegolius funereus* Linnaeus
ბუხრინწა/*Tyto alba* Scopoli
კასპიური შურთხი/*Tetraogallus caspius* Gmelin
კავკასიური როჭო/*Tetrao mlokosiewiczi* Taczanowski
რუხი წერო/*Grus grus* Linnaeus
სარსარაკი/*Tetrax tetrax* Linnaeus
თვალჭყეტია/*Burhinus oedicephalus* Linnaeus
ულვაშა წივწივა/*Panurus biarmicus* Linnaeus
წითელმუცელა ბოლოცეცხლა/*Phoenicurus erythrogastrus* Gmelin

დიდი კოჭობა/*Carpodacus rubicilla* Gldensthd
ჭრელგულა ჭვინტაკა/*Prunella ocularis* Radde.

ქვეწარმავლები:

ხმელთაშუაზღვეთის კუ/*Testudo graeca* Linnaeus
კობტა გველთავა/*Ophisops elegans* Menetries
თურქული ხვლიკი/*Darevskia clarkorum* Darevsky & Vedmederja
დალის ხვლიკი/*Darevskia dahli* Darevsky
აჭარული ხვლიკი/*Darevskia mixta* Mehely
აზიური შიშველთავა/*Ablepharus pannonicus* Fitzinger
დასავლური მახრჩობელა/*Eryx jaculus* Dumeril & Bibron
საყელოიანი ეირენისი/*Eirenis collaris* Menetries
ხვლიკიჭამია გველი/*Malpolon monspessulanus* Mertens & Mueller
დინიკის გველგესლა/*Vipera dinniki* Nikolsky
კავკასიური გველგესლა/*Vipera kaznakovi* Nikolsky.

ამფიები:

კავკასიური სალამანდრა/*Mertensiella caucasica* Waga
სირიული მყვარი/*Pelobates syriacus* Boettger.

ხრტილოვანი თევზები:

სვია/*Huso huso* Linnaeus
ფორონჯი/*Acipenser sturio* Linnaeus
ფორეჯი/*Acipenser nudiiventris* Lovetsky
ტარადანა/*Acipenser stellatus* Pallas
რუსული ზუთხი/*Acipenser gueldenstaedti* Brandt & Ratzeberg
სპარსული ზუთხი/*Acipenser persicus* Borodin.

ბვლოვანი თევზები:

მდინარის/ტბის კალმახი/*Salmo fario* Linnaeus
მორევის ნაფოტა/*Rutilus frisii* Nordmann

კოლხური ხრამული/*Varicorhinus sieboldi* Steindachner
წინააზიური გველანა/*Sabanejewia aurata* De Filippi
მექვიშია ლორჯო/*Neogobius fluviatilis* Pallas.

მწერები:

კავკასიური წმინდადგახვიარა/*Phassus shamil* Christoph
კოლხური ბრამეა/*Brahmaea ledereri* Roggenhofer
ლამის მცირე ფარშევანგთვალა/*Eudia pavonia* Linnaeus
მკრათვალეზიანი ფარშევანგთვალა/*Perisomena coecigena* Kupido
სფინქსი მკვდართავა/*Manduca atropos* Linnaeus
კომაროვის სფინქსი/*Rethera komarovi* Christoph
ოლენდრის სფინქსი/*Deilephila nerii* Linnaeus
ჯუჯა სფინქსი/*Pterogon gorgoniades* Hb.
კვიპაროსის მსხვილტანა/*Pachypasa otus* Drury
ბალკანური აბრემუმქსოვია/*Lemonia balcanica* Herrich-Schfffer
დათუნელა ჰერა/*Callimorpha dominula* Linnaeus
მღვის ამიერკავკასიური დათუნელა/*Axiopoena maura* Eichwald
აპოლონი/*Parnassius apollo* Linnaeus
კავკასიური აპოლონი/*Parnassius nordmanni* Ménétrières
კავკასიური ზერინთია/*Allancastris caucasica* Lederer
გრუნერის აისი/*Antocharis gruneri* Herrich-Schaeffer
ამიერკავკასიური აისი/*Anthocharis damone* Boisduval
ჰევისტონის ავერდულა/*Erebia hewistonii* Lederer
ირანული ხავერდულა/*Erebia iranica* Grum-Grshimailo
რომანოვის ცისფერა/*Tomares romanovi* Christoph
ცისფერა მელეაგრი/*Polyommates daphnis* Denis & Schifferrmüller
სმირნოვის მზოგელა/*Apocolotois smornovi* Romanoff
იფნის ჭრელურა/*Zygaena fraxini* Ménétrières
ველის დიდი ბაზი/*Bombus fragrans* Pallas
ბაზი ერიოფორუსი/*Bombus eriophorus* Klug
ალპური ბაზი/*Bombus alpigenus* Morawitz
ირანული ბაზი/*Bombus persicus* Radoszkowsky
ისფერი ქსილოკოპა/*Xylocopa violacea* Linnaeus
კურნაკოვის ბზუალა/*Inotrechus kurnakovi* Dolranski&Ljovuschkin
ინჯაევას ბზუალა/*Inotrechusinjaevae* Dolranski&Ljovuschkin
მრგვალი ბზუალა/*Omophron limbatum* Fabricius
ალპური ხარაბუზა/*Rosalia alpina* Linnaeus
მზიმთას ნემსიკლაპია/*Cordulegaster mzymtae* Barteneff

მსგავსი ნემსიყლაპია/*Onychogomphus assimilis* Schneider
სამეგრელოს ტურფა/*Calopteryx mingrelica* Selys.

კიბოსნაირები:

კოლხური ფართოფეხა კიბო/*Astacus colchicus* Kessler
პევეცოვის კიბო/*Pontastacus pylzowi* Skorikov.

ობობასნაირები:

ტივის ობობა/*Dolomedes plantarius* Clerck.

რგოლოვანი ჭიები:

ამიერკავკასიური ჭიაყელა/*Eisenia transcaucasica* Perel
ლაგოდეხის ჭიაყელა/*Eisenia lagodechiensis* Michaelson
ხეობის ჭიაყელა/*Dendrobaena faucium* Michaelsen
კინტრიშის ჭიაყელა/*Alollobophora kintrishiana* Kvavadze.

მუცელფეხიანი მოლუსკების:

ბუხის ლოკოკინა/*Helix buchi* Dubois&Montpereux.

ქვესახეობისები (ძვლოვანი თევზები):

პალიასტომის ქაშაყი/*Alosa caspia paleostomi* Eichwald
შავი ზღვის ორაგული/*Salmo fario labrax* Pallas
წითელტუჩა ჭერები/*Aspius aspius taeniatus* Berg
ალაზნის გველანა/*Nemachilus angorae alasanicus* Elanidze.

ფლორა

ფარულთესლოვანები:

ქართული ნეკერჩხალი/*Acer ibericum* M. Bieb. ex Willd.
დურღენი/*Anabasis aphylla* L.
ქართული ნუში/*Amygdalus georgica* Desf
ხემარწყვა/*Arbutus andrachne* L.
სომიეს გლერძი/*Astragalus sommieri* Freyn
ტანას გლერძი/*Astragalus tanae* K.Koch
მედედევის არყი/*Betula medwedewii* Regel
სამეგრელოს არყი/*Betula megrelica* Regel
რადეს არყი/*Betula raddeana* Trautv

კოლხური ბზა/*Buxus colchica* Pojark
ჩვეულებრივი წაბლი/*Castanea sativa* Mill
სამხრეთის აკაკი/*Celtis australis* L.
შიშველი აკაკი/*Celtis glabrata* Steven ex Planchon
მცირენაყოფიანი ბალამწარა/*Cerasus microcarpa* C. A. Meyer
პონტური საკმელა/*Cistus creticus* L.
კოლხური თხილი/*Corylus colchica* Albov
ყამბრო/*Crataegus pontica* K. Koch
ალბოვის მაჯაღვერი/*Daphne albowiana* Woronow ex Pobed.
ცრუაბრეშუმისებრი მაჯაღვერი/*Daphne pseudosericea* Pobed.
ამიერკავკასიური მაჯაღვერი/*Daphne transcaucasica* Pobed.
გაულთერიასმაგვარი ეპიგეა/*Epigaea gaultherioides* Boiss.
ხემაგვარი მანანა/*Erica arborea*
ნახევრადეკლიანი ევერსმანია/*Eversmannia subspinosa* Fisch & (DC)
აფხაზეთის კურდღლისცოცხა/*Genista abchasica* Sachokia
მლაშობის ჩინგილი/*Halimodendron halodendron* L.
კაკლის ხე/*Juglans regia* L.
კეთილშობილი დაფნა/*Laurus nobilis* L.
შობერის ნიტრარია/*Nitraria schoberi* L.
ზეთის ხე/*Osmanthus decorus* Boiss. & Balansa
უხრავე/*Ostrya carpinifolia* Scop.
საღსაღაჯი/*Pistacia mutica* Fisch & Mey.
თურანულა/*Populus euphratica* Oliv.
ლაფანი/*Pterocarya pterocarpa* (Michx.) Kunth.
დემეტრის ბერყენა/*Pyrus demetrii* Kutath.
კეცხოველის ბერყენა/*Pyrus ketzkhovellii* Kutath.
სახოკიას ბერყენა/*Pyrus sachokiana* Kutath.
კოლხური მუხა/*Quercus hartwissiana* Stev
იმერული მუხა/*Quercus imeretina* Stev. Ex Malleev
მაღალმთის მუხა/*Quercus macranthera* Fisch et Mey
ჭალის მუხა/*Quercus pedunculiflora* C. Koch.
პონტური მუხა/*Quercus pontica* C. Koch.
სმირნოვის შქერი/*Rhododendron smirnowii* Trautv
უნგერნის შქერი/*Rhododendron ungerii* Trautv.
ქიქოძის ტირიფი/*Salix kikodseae* Goerz
გარეჯის სალბი/*Salvia garedji* Troitzk.
ტიგრანის ანწლი/*Sambucus tigranii* Troitzk
სომხური ამპურა/*Sorbus hajastana* Gabr.
კოლხური ჯონჯოლი/*Staphylea colchica* Stev.

კარიაგინის ბეგონდარა/*Thymus karjaginii* Grossh.

შიშველი თელადუმა/*Ulmus glabra* Huds.

პატარა თელადუმა/*Ulmus minor* Mill.

ბელქვა/*Zelkova carpinifolia* Pall.

შიშველთესლოვნები:

შავი ღვია/*Juniperus foetidissima* Willd.

მრავალნაყოფა ღვია/*Juniperus polycarpus* K.

ბიჭვინთის ფიჭვი/*Pinus pityusa* Stev.

უთხოვარი/*Taxus baccata* L.